კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №33

2020 წლის 22 ოქტომბერი

ქ. თბილისი

თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის და 33^1 მუხლის მე-3 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესი“.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-2 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 4 ნოემბრიდან.

კონკურენციის სააგენტოს
თავმჯდომარე **ირაკლი ლექვინაძე**

თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესი

მუხლი 1. მიზანი

თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესის (შემდგომში – წესი) მიზანია ხელი შეუწყოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების გამოვლენას და მათში მონაწილე პირების ჩართვას შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს განვითარების პროცესში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წესის მიზნებისათვის, აქ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პირი – „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეკონომიკური აგენტი;

ბ) განაცხადი – პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) ზეპირად ან წერილობით წარმოდგენილი ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობაზე;

გ) მარკირება – შესაბამისი კატეგორიის შეღავათის მიღების მსურველთა რიგში პირისათვის ადგილის დაკავება, მის მიერ ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-7 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოდგენამდე;

დ) თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსი – პირისათვის პირველი, მეორე ან

მესამე კატეგორიის შეღავათის პირობითი იმუნიტეტის მინიჭება.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №56 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 3. თანამშრომლობის პროგრამის შინაარსი

1. თანამშრომლობის პროგრამა გულისხმობს პირის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი აღიარებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას და ერთდროულად აკმაყოფილებს კანონითა და ამ წესით დადგენილ პირობებს.
2. კანონისა და ამ წესის მიზნებისათვის, პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გულისხმობს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმის დაკისრებისაგან მის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას.

მუხლი 4. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების კლასიფიკაცია

1. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათი შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის.
2. პირველი კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 100%-ით.

3. მეორე კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 20%-დან 50%-მდე.

4. მესამე კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 20%-მდე.

მუხლი 5. თანამშრომლობის პროგრამით მოსარგებლე პირი

1. თანამშრომლობის პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც წერილობითი ფორმით აღიარებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას და დააკმაყოფილებს კანონითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.
2. კანონითა და ამ წესით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.

3. თუ თანამშრომლობის პროგრამით მოსარგებლე პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით/დოკუმენტაციით დამატებით იკვეთება ამ პირის პასუხისმგებლობის დამძიმების საფუძველი, ასეთ შემთხვევაში პირს არ დაუმძიმდება პასუხისმგებლობა კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმის დაკისრების ნაწილში, თუ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იქნება და დახმარებას გაუწევს სააგენტოს საქმის მოკვლევის პროცესში.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №56 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 6. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის პირობები

1. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობა და ამ პროგრამით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობა შეუძლია ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, თუ იგი ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
ა) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

ბ) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;

გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;

დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;

ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;

ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

2. სააგენტოსთან თანამშრომლობა მოიცავს თანამშრომლობის პროგრამით მოსარგებლე პირის მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტის/ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდებას და სააგენტოსთან მუდმივ კოორდინაციაში (მათ შორის, თანამშრომლობის პროგრამით მოსარგებლე ეკონომიკურ აგენტთან დასაქმებული პირების) ყოფნას, ახსნა-განმარტებაზე გამოცხადებასა და დამატებითი გარემოებების დაზუსტებას, საქმისათვის რელევანტური ნებისმიერი საკითხის დეტალური გამოკვლევის მიზნით.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.

მუხლი 7. განაცხადის წარდგენის პირობები

1. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) განაცხადის წარმდგენი ფიზიკური პირის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა);

ბ) პირის მონაცემები (სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი, ხელმძღვანელი პირი და ელექტრონული ფოსტა);

გ) ინფორმაცია კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ, მათ შორის:

გ.ა) შეთანხმებაში მონაწილე სხვა პირების სახელწოდება და საიდენტიფიკაციო მონაცემები;

გ.ბ) კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების და მასში მონაწილე პირთა როლების დეტალური აღწერა;

გ.გ) ის პროდუქციული და გეოგრაფიული ბაზარი, სადაც ადგილი აქვს შეთანხმებას;

გ.დ) შეთანხმების ხანგრძლივობა;

გ.ე) საქმესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

გ.ვ) მტკიცებულებები სავარაუდო სამართალდარღვევის თაობაზე;

დ) განაცხადის წარდგენის თარიღი (წელი, რიცხვი, თვე, საათი, წუთი) და ხელმოწერა.

2. განაცხადს თან უნდა ერთოდეს მისი წარმდგენი ფიზიკური პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სააგენტოში განაცხადის წარმოდგენა ხდება ინდივიდუალურად, კონკრეტული პირის სახელით.

4. ორი ან მეტი პირის მიერ სააგენტოში განაცხადის ერთობლივად წარმოდგენის შემთხვევაში, განაცხადის წარმდგენ პირებს შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ მესამე კატეგორია.

5. წერილობითი განაცხადი სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი №1-ის შესაბამისად.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.

მუხლი 8. განაცხადის წარდგენის პროცედურა

1. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით პირი სააგენტოს მიმართავს განაცხადით და წარუდგენს ამ წესის მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ ინფორმაციას.
2. დასაშვებია განაცხადის ელექტრონული ფორმით წარდგენა სააგენტოში, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

3. პირის მიერ სააგენტოსათვის ზეპირი განაცხადით მიმართვის შემთხვევაში, სააგენტოს თანამშრომლის მიერ დგება ოქმი, რომელშიც აისახება პირის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ინფორმაცია და დანართის სახით დაერთვის შესაბამისი მტკიცებულებები. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი სააგენტოს თანამშრომელი და ზეპირი განაცხადის წარმდგენი პირი. ზეპირი განაცხადის მიღების დროდ ჩაითვლება ოქმის შედგენის დაწყების დღე, საათი და წუთი.

4. პირს უფლება აქვს სააგენტოში ოფიციალური განაცხადის წარდგენამდე მიმართოს მას ანონიმურად და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამის შესახებ.

5. განაცხადის მიღების შემდეგ სააგენტო გასცემს წერილობით ცნობას მისი მიღების შესახებ, მიღების თარიღისა და დროის მითითებით.

6. სააგენტო განაცხადს იხილავს მისი შემოტანის დროის თანმიმდევრობით (შემოტანის თარიღის შესაბამისი რიგითობით).

7. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო მოახდენს განაცხადის მარკირებას, პირს წერილობით აცნობებს აღნიშნულის თაობაზე და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ინფორმაცია და მტკიცებულებები. ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში წარმოდგენის შემთხვევაში, იგი წარმოდგენილად ჩაითვლება იმ დროს, როდესაც მოხდა პირის მარკირება.

8. სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მარკირება ავტომატურად უქმდება.

9. თუ სააგენტო დაადგენს, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირისთვის თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსის მინიჭების შესახებ, სრულყოფილი განაცხადის შემოტანის ან/და მარკირებით განსაზღვრული რიგითობის გათვალისწინებით და გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით ატყობინებს პირს აღნიშნულის თაობაზე.

9[1]. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიჩნევს, რომ თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადი შინაარსობრივად არ აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც მიზანშეუწონელია ასეთი განაცხადის დახარვეზება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, სააგენტო უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს განაცხადი, მარკირების სტატუსის მინიჭების გარეშე, რის თაობაზეც 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით ატყობინებს შესაბამის პირს.

10. პირს უფლება აქვს განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უკან გაიხმოს განაცხადი. განაცხადის უკან გახმობის მიუხედავად, სააგენტო იტოვებს პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მტიცებულებებს საქმის მოკვლევისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, განცხადების შემომტანი პირის ვინაობა რჩება ანონიმური.

11. თუ საქმის მოკვლევა ჯერ არ არის დაწყებული და განაცხადი შეიცავს შესაბამის ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა კანონის შესაბამისად. ამ დროს საქმის მოკვლევა დაწყებულად ითვლება სააგენტოს ინიციატივით.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.

მუხლი 9. გადაწყვეტილება ჯარიმის დაკისრებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების

შესახებ

1. თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, პირის კანონით დადგენილი ჯარიმის დაკისრებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას სააგენტო იღებს საქმის მოკვლევის დასრულებისთანავე. გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო აფასებს პირის მიერ ამ წესით დადგენილი პირობების შესრულებას.

2. პირველი კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით პირველი შეიტანს განაცხადს სააგენტოში კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე და მის მიერ მიწოდებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის/ღირებულების მქონე ინფორმაცია არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი.

3. მეორე კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით მეორე შეიტანს განაცხადს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, მის მიერ წარმოდგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის/ღირებულების მქონე ინფორმაცია იქნება განაცხადის შემომტანი რიგით პირველი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად, არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი.

4. მესამე კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, თუ ის არის რიგით მესამე და შემდეგი, რომელიც (რომლებიც) შეიტანს განაცხადს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, მის მიერ მოწოდებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის/ღირებულების მქონე ინფორმაცია იქნება უფრო ადრე გაცხადებული ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად, არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი. იგივე წესი ვრცელდება ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე.

5. პირს თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსი მოეხსნება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოსთვის აშკარა გახდა, რომ პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

6. პირს თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსი ასევე მოეხსნება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო დაადგენს, რომ იგი არ ასრულებს ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“–„ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

7. იმ პირის კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი, რომელსაც მოეხსნა სტატუსი ან რომელმაც უკან გაიხმო განაცხადი, მიენიჭება რიგში მის შემდგომ მყოფ პირს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.

მუხლი 10. კონფიდენციალურობის დაცვა

1. თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცულია კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად.

2. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილე პირის/პირების თაობაზე მონაცემები და ამ პირის/პირების მიერ სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია კონფიდენციალურია სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საქმის მოკვლევის დასრულების შემდეგ ხსენებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმი.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.

დანართი №1

განაცხადი თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე

1. ინფორმაცია განაცხადის შემომტან პირზე:

ა) განაცხადის წარმდგენი ფიზიკური პირი:

სახელი, გვარი: _____

პირადი ნომერი: _____

ფაქტობრივი მისამართი:_____

ტელეფონის ნომერი:_____

ელექტრონული ფოსტა:_____

ბ) პირი:

სახელწოდება:_____

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:_____

საიდენტიფიკაციო კოდი:_____

იურიდიული მისამართი:_____

ხელმძღვანელი პირი:_____

ელექტრონული ფოსტა:_____

2. ინფორმაცია კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ:

ა) კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილე პირები:

(სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ბ) კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების და მასში მონაწილე

პირთა როლების დეტალური აღწერა:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გ) შესაბამისი პროდუქციული ბაზარი:

_____

_____

_____

_____

_____

_____

დ) შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი:

_____

ე) შეთანხმების ხანგრძლივობა:_____

_____

ვ) საქმესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ზ) მტკიცებულებები:

მტკიცებულება №1:_____

_____

_____

მტკიცებულება №2:_____

_____

_____

მტკიცებულება №3:_____

_____

_____

3. თარიღი (წელი, რიცხვი, თვე, საათი, წუთი):_____

□ ვადასტურებ, რომ განაცხადში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და ჩემთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მოწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

განაცხადის წარმდგენი ფიზიკური პირის ხელმოწერა: _____

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 02.10.2023 წ.